საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030103763751719

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/2970 **21 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დევნილთათვის საცხოვრებელი ფართის შეძენის მიზნით ესაჭიროება „იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა“ (პროგრამული კოდი - 27 06 03 01) პროგრამის სხვა ხარჯების მუხლის პირველი კვარტლის ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის მეორე კვარტლის ასიგნების შემცირების ხარჯზე.

კვარტლების დაბალანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი - 27 03 03 11) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნება.

ასევე, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრების კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად მიმდინარე კვარტალში ესაჭიროება „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა, რომელიც საჭიროა განხორციელდეს „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის“ (პროგრამული კოდი - 27 01 04) პროგრამის დეტალურ ჩაშლაში ცვლილებების შესაბამისად.

ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით (Nბს-1054-(კ-18)) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს გიორგი ჩიჩუას სასარგებლოდ დაევალა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ანაზღაურება და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიმდინარე წლის 16 იანვრის N3/78-18 გადაწყვეტილებით დაევალა აღსრულების საფასურის გადახდა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ (პროგრამული კოდი-27 02 02) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

გთხოვთ, განახორციელოთ „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის“ (პროგრამული კოდი 27 01 04) პროგრამის დეტალურ ჩაშლაში ცვლილებები და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31- ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური